

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОЗДА“.

გაზეთის უსი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უძველ დღე ორშაბათს ბარდა

უსი განცხადებისა დღით ასოზე 1 კაპ., ხუთდღეობისათვის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეაწოლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატეი. დასაბეჭდელი სტატეი ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მოგვალ 1880 წელს

„დროება“-„ივერიის“

გამოცემაზე

მოგვალ 1880 წლის 1 იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ქურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ქურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოდ ფორმატი (თაბახის სიგრცე) უფრო დიდი ექნება. ქურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიგრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (საღოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნისა: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОЗДА“ - „ИВЕРІИ“.

უსი

		წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.
„დროება“ და „ივერია“	ერთად	— 13 მან. — 7 მან. — 4 მან.
ცალკე:	„დროება“	— 9 „ — 5 „ — 3 „
	„ივერია“	— 6 „ — 4 „ — 2 „
ცალკე ნომერი	„დროებისა“	ელირება — 5 კაპეიკი.
	„ივერისა“	— 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა ქურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“

თ. ილ. ჭავჭავაძე.
სმრ. მუსხი.

ოთხშაბათს, 5 დეკემბერს

ძართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I ქუნწი

ძომეღია ორს მოქმედებად, თ. ბ. პრის-თავისა.

II

ჯერ ღაიხოსენ,

მერე დაძორაწილ დენი

ძომეღია ორს მოქმედებად, რუს. გარდ-მოკეთებული თ. რაფ. პრისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

ღაიწყობა 7^{1/2} საათზე.

(3—1)

რედაქცია საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ „დროების“ მე-249 ნომერი, ზოგიერთი მიზეზის გამო, ხელის-მოწერლებს ვერ გაეგზავნა.

ტელეგრაფები

კაბეგზურლის ბირჟა, 1 დეკემბერს.

(ხაღხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემა	— 93—50
მეორე	— — — 92—75
შესამესი	— — — 94—62
მეოთხესი	— — — 94—
აღმოსავლეთის პირ.	— 90—50

აღმოსავლეთის მეორე — 90—50

აღმოსავლეთის, მესამე — 90—37

ოქრო, იმპერიალი — 7—85

თფილისის სააღგ.-მამ. ბანკის

გირაოს ფურცელი — — —

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

მან. კაპ.

პირველი სესხის — — 232—50

მეორე სესხის — — 227—55

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — 25—12 პენსი

ბამბურლი — — 214—26 ცენტი

პარიჟი — — — 265—50 სანტიმი

ვენა — — — 126—75 პფენიგი

მაეკასიის კერასინი — — —

საქართველო

დღიური

* * * თფილისის საზახინო (კახიონნი) პალატა აცხადებს, რომ მოგვალ 1880 წლისათვის ვაჭრობის მოწმობა და ბილეთი ჯერ მხოლოდ 285 კაცმა გაიტანა პალატიდამო და რადგანაც ამ მოწმობის გასატანად კიდევ მხოლოდ ერთი თვე რჩება და სულ 6,904 კაცმა უნდა აიღოს მოწმობა თფილისში, ამის გამო სთხოვს ქალაქის ვაჭრებსა, თუ არ უნდათ, რომ რამე დაბრკოლება მიეცესთ, როდესაც ქრისტეშობისთვის დამლევს ყველა ერთად მოაწყდებიან პალატაში, ახლავე დაუჩქარონ სხენებული ბილეთების აღებას, თორემ, თუ 1 იანვრამდინ ვერ მოასწრეს, ამ ვადის შემდეგ იმათ ვაჭრობის უფლება აღარ მიეცემათ.

* * * პირველ ქრისტეშობისთვის მაეკასიის მთებშიდამ მოვიდა დეპეშა, რომ მლეთისა და ბუდაურის სტანციებს შუაგზა გაუწმენდიათ; ბუდაურსა და ძობს შუა ახლა სწმენდენ თოვლის ზვავსაო და იმედი არისო, რომ ერთი ურმის გასავლელი გზა დღესვე გაიწმინდოსო.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სტამბილამ თ.



ბრ. დ. მარბელიანის ლექსების მეორე გამოცემა, რომელშიც, როგორც ვითხრეს, ჩართული იქნება ზოგიერთი ისეთი ლექსები, რომელიც პირველ გამოცემაში არ ყოფილან. მაგრამ უფრო მომეტებული ღირსება ამ გამოცემისა ის იქნება, რომ წიგნი ამათ ანუ ხუთ შაურად ეღირება და ამანარად ყველას შეეძლება შეძენა ამ ჩვენ ჩინებულის პოეტის თხზულებისა.

* * * შორაპნის მახრიდამ გვაცნობებენ, რომ ერთს ამ უეზდის სოფელში, სახელდობრ რვანში, უფ. ლოლაბერიძეების მამულში აღმოჩენილა მარგანცის (შავი-ქვის) მსგავსი რაღაც კრისტალიური მადანი, რომელსაც ხალხი „წარნაკ“ ეძახისო. ჯერ მკოდნე კაცი არაფერ ყოფილა და არ გამოუტყვევია—თუ რა მადანი არის ეს მადანი.

* * * მუთისილამ გვწერენ, რომ მუთისის სახელმწიფო მამულების გამგეობის აგენტს უფ. ივ. ბალისნის, რომლის უკანონო მოქმედებებზედ, მკრიბაში ადგილების გამოჯენის დროს, ჩვენს გაზეთში კორრესპონდენცია იყო დაბეჭდილი, სამსახურიდამ დათხოვნის ქალაქი წარუდგენია, თავის ნებით, მთავრობასთან.

* * * ჩვენ მივიღეთ ამ ღლებში შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:
„უფ. რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთით ბევრი ბოროტ-მოქმედნი იტყუნდებიან, ბევრ მართალ პირთაც ეძლევათ საშუალება თავიანთი თავი იმართლონ; ამისათვის მორჩილად გთხოვთ თქვენს გაზეთშივე გასწორებით მიიქციოთ ყურადღება შემდეგს:
ბუშინდელის „დროების“ მე-245 ნომერში სხვათა შორის არის ნათქვამი „ღლიურში“, რომ სოფლის მწერლები ცუდად იქცევიანო, და დაგებუდიან ვიღაც კორრესპონდენტისაგან ნაწერი, ვითომც სუჯუნის სოფლის საზოგადოებას ქონოდეს ერთ ამ სოფლის შკოლის მაგირდზე სჯა. მს ტყუილია: მაგირდი, მართალია, აქ, სუჯუნის შკოლაში, სწავლობს, მაგრამ სოფ. ნესაკოვის მცხოვრებია, სადაც მომხდარა ყრილობა საზოგადოებისამ კმაწვილის შესახებ, ოპოკუნის წინადადებით, და იქ ყოფილა რაღაც ბავსი ადგილობრივ მწერალსა და საზოგადოებას შუა და არა აქ, სუჯინაში. ნესაკოვი არის ცალკე საზოგადოება და, რასაკვირველია, იქ მწერალიც სხვა არის და მოსამართლეებიც.“

სუჯუნის სოფლის კანცლარის მწერალი, შარაოზ მიქაძე,
სოფ. სუჯუნა, 28 ნოემბერს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 28 ნოემბერს. ძარგი ხანია ბორილამ სხინვალამდინ ხრეშ-დაყრილი გზა კეთდებოდა და ადგილ-ადგილ კი შეუსრულებელი იყო. წრეულს აქაურმა უეზდის უმფროსმა თ. მირისთავმა გულმოდგენით მოჰკიდა ამ გზას ხელი, დღეში ასილამ ორასამდინ მუშას ამუშავებდა და შეასრულა კიდეც ეს გზა. როგორც კი დაიწყო ამ გზაზე სიარული, მაშინვე ამხანაგობა შეადგინეს ტყეაეში მცხოვრებელთ თ. მიხეილ და ლუარსაბ მირისთავმა და ნიკ. შაფლინოვმა, გამოიწერეს ერთი კარგი ომნიბუსი, რომელშიაც რვა სული თავისუფლათ თავსდება და ამ თვის 17-დამ დაიწყო მუშაობა. დილით საათის რვაზედ სხინვალამდამ გამოდის, მოდის ტყეაეში; აქ სცელის ცხენებს და თორმეტის ნახევარზედ ბორში მოდის; ბორში ორ საათს იცდის და მესამეზედ გადის, ამავე ნაირათ სცელის ცხენებს ტყეაეში და 7 საათზე სხინვალში მოდის. ამ ომნიბუსისგაჩენა, როგორც ვხედავთ, ბევრს სარგებლობას მოუტანს ხალხსა ამისათვის რომ აქამდინ ჯერ დღემდე სალამოდინ უნდა გველოთ, რომ გეგუვათ რამე წასასვლელად სხინვალში, ჯერ ვერ იშოვიდით და თუ იშოვიდით, რვა ან ათი მანეთი უნდა მიგეცათ და ისე წასულიყავით; ესლა ცი-ამ ამხანაგობას ერთი კაცი მიჰყავს სხინვალს რვა აბაზათ.

ამ კეთილ საქმესთან პირველად იხსიკიროა, რომ ამხანაგობამ სხინვალამდამ ნახევარი საათი ადრე გამოისტუმროს ომნიბუსს; მართალია 8 საათზედ გამოსულიც მოუსწრობს შალაქილამ შოსულ მატარებელს, მაგრამ ცოტა რომ ადრე მოვიდეს, უფრო უეჭველია, ზოგს ბავაჟი აქვს ჩასაბარებელი, ზოგს ვისთანმე საქმე ექმნება გააკეთებს და მგზავრისათვის ეს ბევრით სახეიროა და ამხანაგობისათვის კი ზარალი არა იქმნება რა.

მეორე, უნდა გამოაცხადონ, რომ ერთ ფუთზედ მეტი ბავაჟი არ მიიღონ არც ფასით, თორემ ადვილად შეიძლება ომნიბუსი დანიტვრეს; მესამე, ძალიან საჭირო არის ქელაეზი იზრუნონ და მეორე ომნიბუსი გამოიწერონ; თუ ამანაც იმუშავა, ხომ კარგი, თუ არა და მანც სახეირო იქნება; შემთხვევა, გატყდა, მეორეს ამუშავებენ და ღლებში ოც მანეთს სარგებლობას არ დაჰკარგვენ; ესეც რომ არ იფიქრონ, მარტის თვის იქით პატარა ლიანება

მოდიდება იცის, მე რომ ლიანების უნარები ვიცი, ომნიბუსი იქ ვერ გავა და ურმით რომ ხალხი აქედამ გაიყვანონ ტირგნისში, იქაც უნდა მზათ ჰქონდეთ თუ არა ომნიბუსი, რომ ხალხი გაასხან;

მეოთხე, ამ ამხანაგობამ, უეჭველია, თავის სასარგებლოთ მოიგონა ეს საქმე; უმეტეს სარგებლობას მოუტანს ეს საქმე, თუ ერთ ბინას გაიჩენენ სხინვალში, პატარა აგენტსტვოს გააღებენ, და გაავებინებენ მცხოვრებლებს და გარეშე ახლო-მახლო სოფლის ხალხს, რომ ამხანაგობა კისრულობს ყველასგან წიგნის, ფულის, თუ ამანათის მიღებას და ბორილამ ფოჩტით გაგზავნას დანიშნულის ალაგებში; აგრეთვე ბორის ფოჩტაში თუ მიიღებს. იმათი კაცი სხინვალს წიგნებს, ფულს, ვახეთებს წაუღებს პატრონებს იმავე დღესვე. წარმოიღვინეთ, 500 კომლი კაცია სხინვალში, გარეშე მო რამდენი მცხოვრები თავად ამხანაური და ამდენს სულში ხუთს ოჯახს არ მისდის ვახეთი, არ იციან რას ხდება ქვეყანაში, სად რა გაკეთდა სად რა წახდა. რატომ? იმიტომ, რომ გზა და მიმტანი არ იყო; ესლა გზაც გაგვემართა, ყოველ დღე ომნიბუსიც მიდის; მაშ მიიღონ წიგნები და ვახეთები; საჭირო არის ამ ამხანაგობამ ამ საქმესაც მიამქციოს ყურადღება და პატარა ჩემი ნათქვამი აგენტსტვო გამართონ სხინვალში.

ს. მუთაყვი

წერილი რედაქტორთან

(დასასრული)

ხოლო რაც შეეხება მას, რომელ მე არა მიუღს და არცა მიუღებია ქართული ენა და შეძლებისა-ებრ ჩემისა ყოველს ქამს ვცდილვარ და აწცა ვცდილობ მისს შესწავებასა და განვრცელებასა და არცა რა დამიზოგავს ამა საგნისათვის, ამაზედ, როგორათაც ადგილქვით პირველ, მოგვლაპარაკებით ესლა *).

1, მე ვახლავარ ნამდვილი ქართველი და ქართველი მშობელთ შვილი, მაშა სადამე უნდა ვიქონიოთ სახეში, რომელ მეც, როგორათაც ყოველსა კაცსა, მექმნება ბუნებითი ნიჭი ჩემის მშობლის

*) თუმცა ეს ქვემო-მოყვანილი ბიოგრაფია მ. დეკანოზისა სრულიად არ არის მეიხხველისათვის საინტერესო და სრულიადაც არ ამტკიცებს იმის სიყვარულს ქართულის ენისა, მაგრამ მაინც ვუჭვდივთ.

ადგილ-მამულის და ენის სიყვარულისა. მს ასრეთი აქსიომა არის, რომელშიც ამისგან ვერავინ ვერ გამოამრიცხავს;

2), როდესაც ამოვიდგი ენა და გავხდი შეიღის წლისა მაშინათვე მშობელთა ჩემთა პირველად მიმაბარეს სასწავლებლად ქართულს ენაზედ საღმრთო წერილისა და შემდეგ როდესაც გავათავე ღვითნი ორჯერ და გავხდი კიდევ რვის წლისა, მაშინ მიმაბარეს ოფილისის სემინარიაში, სადაც იმ წამად ასწავლიდნენ ქართულს ენასა და რუსულსაც;

3), ოქტობრის ხსენებულს სემინარიაში დავეყვ შესრულებამდე 12 წელი, მაგრამ ამ დროების განმავლობაშიაც არაოდეს არ დამიტყვებია ჩემი მშობლიური ქართული ენა, არამედ ყოველს კვირას და დღესასწაულს დღეებში ვეხმარებოდი ხოლმე ეკლესიაში კითხვით და გალობით ქართულს ენაზედ განსვენებულს დეკანოზს მენათი იოსელიანს, რომელიც იყო კაცი ფრიადგან სწავლული ყოველს საგნებში ქართულს ენაზედ;

4), შემდეგ შესრულებისა ხსენებულის სემინარიისა მე ხელ დასხმულ ვიქმენ დიაკონათ ოფილისის ქვაშოეთის წმიდის ბიორგის ეკლესიაში, სადაც მრთელის 1852-ის წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ყოველს კვირას უცნოზროთ ვამბობდი ხოლმე კატეხიზურს ბესებებს და შემდეგ წარმოთქმისა მგორეს დღეს დაუყოვნებლივ წარუდგენდი მის მალალ-ყოველად უსამღვდელოესობას საქართველოში ექსარხოსად ყოფილს მიტროპოლიტს ისიდორეს;

5), შემდეგ ამისა როდესაც ხელ დასხმულ ვიქმენი მე მღვდლად ოფილისის ანჩინატის სობოროზედ მაშინაც თხოვნითა და მეცადინეობითა ჩემითა საქართველოში ექსარხოსად ყოფილის, აწ განსვენებულის არჩივისკოპოზის მესევისადმი გადმოყვანილ-იქმნა სოფლის ხამშიდამ დიაკონი მონოფრე ნახუცაროვი, კარგი მგალობელი და გავრდილი წარჩინებულ მგალობელთან, განსვენებულს არჩივადრატ სოფრონისთან, რომელიც ყოველს კვირას და დღესასწაულს დღეებში მრთელს ორს წელიწადს გალობდა ხოლმე ორის იერომონახით ექსარხოსის სასახლიდან ანჩინატის სობოროში და ამისთვის ვაძლევდი მე ჩემის საკუთრებიდგან თვეში ერთ თუმანს; გარდა ამისა, ხსენებულ დიაკონი მუჟაღის შემდეგ დადიოდა უ. ღვით მიხაილოვ ჯიჯავაძესთან და ადგენინებდა მას ნოტებზედ წირვის გალობას, რომელიც მზათ შემდგარი აწ მოაპოვება სემინარიის პრავლენიაში;

6) როდესაც ხსენებული დიაკონი

ნახუცაროვი მიიქცა თვისსავე პრიხოდში, მაშინაც აგრეთვე მეცადინეობითა ჩემითა და სემინარიაში რექტორად ყოფილის არჩივადრატის (აწ ეპისკოპოზის) მიქტორინისა, ხსენებულისავე არჩივისკოპოზის მესევისა მიერ გადმოყვანილი იქმნა მიზიციდგან ქართული მგალობელი მღვდელი ბრიგოლ პარბელოვი ოფილისის სემინარიაში მასწავლებლად ქართულის საეკლესიო წიგნებისა და გალობისა; გარდა ამისა ხსენებულს მგალობელს მთელს ორს წელიწადს მე ვაძლევდი თვეში ათს მანეთს, მისთვის, რომელ იგი როდენისამე სემინარიის მოწაფით-ურთ გალობდა ხოლმე კვირადღესასწაულს დღეებში ჩემთან ანჩინატის სობოროში;

7) წარსული 1874 და 1875-ს წლებში, მე განჩინებთა სემინარიის პრავლენისა ვასწავლიდი ოფილისის სემინარიაში III, IV, V, და VI კლასებში ქართულს ენაზედ საღმრთო წერილსა, და

8) რომელ ვხლაც ვცდილობ ქართული ენის წარმატებასა, ეს შეგიძლიანთ დაინახოთ აქედან რომ ეს ერთი წელიწადი მეტი არის რაც მე ჩემის კრებულისთ ვაძლევ თვეში რვა მანეთს ბურიდამ მოწვეულ მგალობლებს აღსადგენელად ქართულის გალობისა, რომლისა შემწეობაზედ საქართველოს დასავლეთის სამღვდელოებამ ეპარხიის სამღვდელოთ კრებაში ერთხმად უარ-ჰყვეს შემდეგითა ლექსებითა: „შინაღან არ დაუბარებიათო“. მგონია აქედან დაინახეთ, უ. რედაქტორო, რომ მე ქართული ენა არა მძულებია და არცა მძინებია მისის წარმატებისათვის; ამაში თუ დამდებთ ბრალეულად წინაშე ქართულის ენისა, რადგანაც მე აქამომდე არა დამიწერია არც თქვენს პატრივკუმულს გაზეთში და არც სხვაგან და მით არ გამომიჩენია ჩემი თავი წინაშე საზოგადოებისა, მე ამას არაოდეს არ მივიღებ ჩემს დანაშაულად, რადგანაც ესრეთი თავის დიდება და ყვირილი გაზეთებში არ შეეფერება არც ჩემს სახეს და აღარც ჩემს წლოვანებას. ამასაც მოგახსენებ, რომელ შემდეგ ამისაც აღარას მოგახსენებ, მხოლოდ მე დაუდებ ჩემს თავს კანონათ, როდესაც აღვსდგე ძილისაგან პირს-ჯვარი გამოვისახო და წარმოვსთქვა: „შეალო მისენ მე ცილის-წამებისაგან კაცთასა“.

დვანობი ბრიგოლ პარბელოვი 25 ნოემბერს, 1879 წ.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ზრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ხონთქარს, ინგლისის ელჩის ლეიარდის რჩევით, გარდაუწყვეტია, რომ აზრუმისა და ზეთუნის მაზრების ლუბერნატორებად ქრისტიანები იქმნენ დანიშნულნი; და ამას გარდა გამოეცხადოს სრული პატრიება ყველა იმ პირთ, რომელთაც ზეთუნის უკანასკნელს არეულობაში მიიღეს რაიმე მონაწილეობა.

ინგლისის ელჩი ცდილობდა კიდევაო, ამბობენ, რომ მთელი მცირე აზიის ლუბერნატორად ხონთქარს ინგლისელი ბეკერ-ფაშა დაენიშნა; მაგრამ ოსმალთს მინისტრები არ დათანხმებულან ამაზედ და გარდაუწყვეტიათ მხოლოდ, რომ ბეკერ-ფაშა დაინიშნოს მცირე აზიის ქანდარმის ჯარის უფროსად.

საზრანბეთი

ტელეგრაფშიც და გაზეთებშიც მოგვიტანა ნაციონალურ ძრებისა და სენატის სხდომების პარიჟში დაწყების ამბავი. პირველი სხდომები ამ პალატებისა არაფრით არ ყოფილა შესანიშნავი, სჯა ჰქონათ ზოგიერთ წერიმალ საქმეებზედ. ამ მოკლე ხანში კი ბევრ კითხვების აღძვრას მოელოან წარმომადგენელთა პალატაში, რომელთაც დიდს მნიშვნელობას აძლევენ, მაგალითად ლუი ბლანმა უნდა შეიტანოს წინადადება, რომ მთავრობამ აპატიოს ყველა პოლიტიკურ დამშავებს (კომუნარებს), რომელთაც 1871 წლის პარიჟის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა და რომელიც საშინელს ტანჯვაში იმყოფებიან ახალს ძალღებონიაშიო. ამას გარდა დეპუტატს ანრი ბრისსონს განზრახვა აქვს შეიტანოს დებუტატთ პალატაში წინადადება უცხო ქვეყნის საქმეების შესახებ.

რუსეთი

რუსული გაზეთები სავეა იმ უბედური შემთხვევის აღწერით, რომელიც გავლილ 17 ნოემბერს მოხდა მოსკოვის მახლობლად, როდესაც რკინის გზის მატარებელი ლალუმით აფეთქეს იმ განზრახვით, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოეკლათ. ამ საქმის შესახებ, რასაკვირველია, ფიცხელი გამოძიება არის დანიშნული, რამდენიმე საეკლესიო კაცი უკვე დაუტყუსადებიათ მოსკოვში და სხვა ქალაქებშიაც.



ხელმწიფე იმპერატორს რუსეთის ყველა მხრიდან, აგრეთვე უცხო ქვეყნის ხელმწიფეებთანაც მოლოცვა მისდის მშვიდობით და უგნებლად გადარჩენის თაობაზედ „ბოროტ-მომქმედ“ ხელიდგანა და სხვ. პეტერბურლის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების გამგეობათ აღრესი გაუგზავნიათ აგრეთვე ხელმწიფისათვის, რომელიც დიდ კმაყოფილებას აცხადებს ამგვარ მოლოცვისა და ქვეშევრდომობით გრძნობათა გამოცხადებისათვის.

— მაშასადამე „ნოვოე მრემიაში“ დაბეჭდილია, რომ ხერსონის ხაზინიდან რომ მილიონ ნახევარი მანეთი მოიპარეს, ამის შესახებ საქმე შეჩერებული არის ამჟამად, რადგან ის „საშკა“, რომელსაც ამ ქურდობას აბრალებენ, ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

განცხადებანი

„მ შ ა კ“

სალიტერატურულ და საპოლიტიკო გაზეთი, სომხურს ენაზედ

მომავალს 1880 წელს

ზამოცა მუდამ დღე უქმ დღეების შემდეგ დღეებს გარდა. სიერცე და პროგრამა გაზეთისა დარჩება იგივე. მაშინ ექვნივე საკუთარი ტელეგრაფები.

მაშინვე უსანი იქნება წელიწადში—10 მან. ნახევარ წელიწადში—6 მან. ხელის-მოწერა მიიღება „მ შ ა კის“ რედაქციაში.

ცალკე ნომრები 5 კაპიკად გაიყიდება.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი; Тифლისь. Редакция „М ш а к“.

ზამოცემელი-რედაქტორი ბრიზორ არწრუნი (3—3)

კვირას, 9 დეკემბერს

თფილისის ქრუეკში

„თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ შკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება:

ბ ა ლ ი

ბილეთის ფასი, ქალისა თუ კაცისათვის. 2 მანეთია

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

შალაქს შეუძლიანთ გულ-დაგურული კაბებით მოვიდნენ. მისაც ჰსურს წინაღვე იყიდოს ბილეთი, შეუძლიან მიმართოს შემდეგ პირთ: „საზოგადოების“ თავმჯდომარეს, პ. მ. მამაცოვს, ქუკიაში, საკუთარ სახლებში; თ. ი. ავალოვს, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში; ხაზინადარს ვ. დ. თულაშვილს, ოლქის სასამართლოში და სეკრეტარს ნ. დ. მანანოვს „ნივერის“ რედაქციაში (5—3)

მომავალ 1880 წლის ხელის-მოწერა გაზეთს „კავკაზში“

„კ ა ვ კ ა ზ შ ი“

მიიღება შემდეგის პირობებით:

	თფ. მიტანიტ.		სხვა ქალაქებში.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
მართის წლით	11	50	13	„
ნახევარის წლით	6	„	7	„
სამის თვით	3	50	4	„
მართის თვით	1	50	1	75

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში გაზეთის „კავკაზის“ კანტორაში, ბარიატინსკის ქუჩაზე, სახლის № 4.

შალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ აღრესით გამოგზავნიან თავიანთ მოთხოვნებს: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“. (3—1)

1880 წელს გაზეთის

„თფილისის მოაზრის“

გამოცემავად.

მომავალი 1880 წლის 1 იანვრიდან „თფილისის მოაზრე“ გამოვა მუდამ დღე ორშაბათობითაც და უქმეების შემდეგ დღეებშიაც, იმავე თანამშრომლების შემწევობით, რომელნიც ახლა იღებენ მონაწილეობას რედაქციაში.

რადგან გაზეთის ნომრების რიცხვი მატულობს, ამის გამო ხელის-მოწერის ფასიც ცოტათი იცვლება: წლიური ფასი გაზეთისა თფილისში (შინ მიტანიტ) იქნება 12 მანეთი, რუსეთში გაგზავნიტ—13 მან. და უცხო ქვეყნებში გაგზავნიტ—18 მან.

	თფ. მიტანიტ.		რუსეთში.		ქეროპაში.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
12 თვით	12	„	13	„	18	„
6 „	6	50	7	„	9	50
4 თვით	4	50	5	„	7	„
3 „	4	„	4	50	5	50
1 თვით	1	50	2	„	2	50

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა გამოგზავნიან მოთხოვნებს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисского Вѣстника“.

თფილისში ხელის-მოწერა რედაქციის კანტორას გარდა (მრევენის მავლანი, სახლის № 3) მიიღება კიდევ ვ. შავერლოვის მაზეთის სააგენტოში. (3—1)

ვ. შავერლოვის გაზეთის სააგენტო

(Газетное Агентство В. Шавердова)

თ ფ ი ლ ი ს შ ი

(ზოლოვირის პროსპექტი, შავერლოვის სახლებში)

იღებს: ხელის-მოწერას რედაქციის ფასით ყველა სატახტო ქალაქებისა, უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივ გაზეთებზე და ჟურნალებზე.

ხელის-მოწერა მიიღება იმ პირობით, რომელსაც რედაქციები აცხადებენ და იმ ვადით, რა ვადითაც გამომწერი ისურვებს.

შულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. უცხო ქვეყნისა და ოფიციალურ გამოცემების გამომწერთ სააგენტო გარდაახდევინებს მკირე კომისიის ფულს ფორტის ხარჯად. მაშინთვის სააგენტო ხელის-მოწერის წარუდგენ რედაქციიდან მიღებულს კვტანციას ფულის შეტანის თაობაზედ.

ამ სააგენტოს საშუალებით გამოწერა გაზეთებისა და ჟურნალებისა განსაკუთრებით იმათთვის არის სასარგებლო, ვინც რამდენსამე გამოცემას ერთად დაიბარებს ხოლმე.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა მომართონ სააგენტოს: Въ Тифлисъ. Въ Газетное Агентство В. Шавердова. (3—2)